



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/738
12/12/2022

738-01-2-202212121754



პლენუმი

განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 25 ნოემბრის N3/14/1693 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების და 50-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით არმიღებასთან დაკავშირებით

1. გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 25 ნოემბრის N3/14/1693 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეღო არსებითად განსახილველად N1693 კონსტიტუციური სარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, ერთი მხრივ, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას და, მეორე მხრივ, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას.

2. №1693 კონსტიტუციური სარჩელის ავტორები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, პრობლემურად თვლიდნენ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების წესს. მოსარჩელეთა აზრით, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს იმავე წესით, რა წესსაც ადგენს საქართველოს კონსტიტუცია მოსამართლეების თანამდებობაზე განწესებისთვის ანუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. მეორე მხრივ, №1693 კონსტიტუციური სარჩელის ავტორები კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ თვლიდნენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მისი საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილება. მოსარჩელეთა არგუმენტაციის თანახმად, კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საპირწონე გადაწყვეტილება (მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საქმეთა განხილვისგან ჩამოცილება) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ანალოგიური კვორუმით იყოს მიღებული.

3. მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სადავო წესზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის უმრავლესობამ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ არ არის დადგენილი, თუ რა წესითა და როგორი უმრავლესობით უნდა მიიღოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის მივლინების შესახებ გადაწყვეტილება. შესაბამისად, მივლინების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების წესის დადგენა კანონმდებლის დისკრეციის ფარგლებში ექცევა, თუმცა საქართველოს პარლამენტი შებოჭილია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებით. ამავდროულად, პლენუმის უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ცალკეული გადაწყვეტილების მიღება საქმის განხილვაში მონაწილე წევრთა უმრავლესობის მიერ უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილების მიღების ოპტიმალურ წესად, რომელიც გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ზოგადად არ წარმოადგენს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შეზღუდვას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022

წლის 25 ნოემბრის №3/14/1693 საოქმო ჩანაწერის სამოტივაციო ნაწილის 3-5 პუნქტები).

4. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეჟიმსა და საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების გასაჩივრებულ წესზე კი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის უმრავლესობამ მიუთითა, რომ სადავოდ გამხდარი ნორმების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს ე.წ შუალედურ გადაწყვეტილებას, რაც საკითხის ინიცირების ტოლფასია და, თავისთავად, არ იწვევს მოსამართლის საქმიდან ჩამოცილებას ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდგენ შედეგს. ამდენად, სადავოდ გამხდარი ნორმების რეგულირების სფეროში არ ექცევა მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების საკითხის საბოლოო, შედეგის მომტანი გადაწყვეტა. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არის დაუსაბუთებელი (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის №3/14/1693 საოქმო ჩანაწერის სამოტივაციო ნაწილის 8-13 პუნქტები).

5. მიმაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითად განსახილველად უნდა მიეღო, გამოეკვლია და შეეფასებინა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების წესის კონსტიტუციურობა. მეორე მხრივ, არ ვიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმარტებას, რომლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის მიმართ სადისციპლინო პასუხისმგებლობის საკითხზე და საქმიდან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, კონსტიტუციის მიზნებისთვის, ჩაითვალოს შუალედურ გადაწყვეტილებებად და, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში მიიჩნეოს დაუსაბუთებლად. ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არასწორად შეაფასა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება, მისი კონსტიტუციური მნიშვნელობა და, საბოლოოდ, მიიღო მცდარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით.

1. მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

6. მივიჩნევ, რომ №1693 კონსტიტუციურ სარჩელში მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ გასაჩივრებული წესის

არაკონსტიტუციურობაზე წარმოდგენილი დასაბუთება აკმაყოფილებდა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ამ მხრივ, მართალია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი საკანონმდებლო დანაწესი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებულია არსებითად განსახილველად და დამატებით იქნება შეფასებული (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის №3/14/1693 საოქმო ჩანაწერის სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი), თუმცა, ამასთან ერთად, აუცილებელი იყო მოსამართლის მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმის კონსტიტუციურობის არსებითი განხილვის ეტაპზე დამოუკიდებლად გამოკვლევა.

7. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას, საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვის ფორმატში შინაარსობრივად უნდა გაეანალიზებინა და შეეფასებინა, თუ რა იგულისხმება კონსტიტუციურ დანაწესში „მოსამართლის თანამდებობაზე განწესება“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების განმარტება უნდა მოხდეს არა იზოლირებულად, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციით დადგენილი შესაბამისი თანამდებობის მომწესრიგებელი ნორმები, რათა შესაძლებელი გახდეს ძირითადი უფლებების დამდგენი და ინსტიტუციური კონსტიტუციური დებულებების საერთო სულისკვეთების აღქმა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21).

8. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კონსტიტუციურ ტერმინებს აქვს ავტონომიური სამართლებრივი მნიშვნელობა, რომლებიც შესაძლოა, ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური ტერმინების განმარტებებს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-63; ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/654 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, „კონსტიტუციური

დებულებებისა და კონსტიტუციაში არსებული ტერმინების შინაარსი თვითმყოფადია და არ არის დამოკიდებული კანონმდებლობაში არსებულ დეფინიციებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტიტუციის შინაარსი კანონმდებლობაზე დამოკიდებული გახდებოდა და ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნებოდა თვითნებობისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

9. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე განწესება ხდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. თავის მხრივ, თანამდებობაზე დანიშვნის წესები განისაზღვრება „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით. მითითებული ორგანული კანონის 35-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის თანამდებობის დაკავების ზოგად წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტიდან ირკვევა, რომ რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის არსებობისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით, აცხადებს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და მითითებული ორგანული კანონით დადგენილ პირობებს. ამავდროულად, აღნიშნული ორგანული კანონის 35-ე მუხლის 13¹ პუნქტის თანახმად, თუ მოსამართლეობის კანდიდატი კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე ვერ განწესდება, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არანაკლებ 3 წევრს უფლება აქვს, კანდიდატის თანხმობით მიმართოს საბჭოს, რათა ამ კანდიდატს მიმდინარე კონკურსის ფარგლებში დარჩენილ რომელიმე ვაკანტურ თანამდებობაზე ხელახლა ეყაროს კენჭი.

10. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მოსამართლეობის მსურველი კანდიდატის კონკურსის შედეგად შერჩევა და მისი თანამდებობაზე განწესება უშუალოდ დაკავშირებულია ცალკეულ რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში არსებულ კონკრეტულ ვაკანსიასთან, რომლის მიმართაც კანდიდატი გამოთქვამდა კონკურსში მონაწილეობის სურვილს. თავის მხრივ, მოსამართლე, რომელიც კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე განწესდება სარგებლობს შეუცვლელელობის გარანტიით, რაც საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,

განისაზღვრება ორგანული კანონით, მაგრამ იმთავითვე პირობადებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მთელი რიგი მოთხოვნებით.

11. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით განწესებული მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების განსხვავებული წესი საჭიროებდა, არსებითი განხილვის ფორმატში, კონსტიტუციის სხვა ნორმებთან ერთიანობაში სისტემურ განმარტებასა და შინაარსობრივ შეფასებას. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვის ეტაპზე უნდა გამოეკვლია, კონსტიტუციური დებულების ავტონომიური განმარტების მიზნებისთვის, გულისხმობს თუ არა კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული ტერმინი „განწესება“ მხოლოდ მოსამართლის თანამდებობაზე თავდაპირველად დანიშვნას, თუ ამ უკანასკნელში ასევე შეიძლება მოაზრებული იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა შედეგად, მაგალითად, ხდება მოსამართლის დროებითი მონაცვლეობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოდან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში ან პირიქით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოში დროებითი მივლინება. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების დროებითი ხასიათი a priori არ გამორიცხავს, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის, არსებითი განხილვის ფორმატში საკითხის სიღრმისეული ანალიზის შემდეგ, იგი შეიძლება ჩათვლილიყო „მოსამართლის თანამდებობაზე განწესებად“, რადგან საქართველოს კონსტიტუცია მოსამართლის განწესებაში არ მოიაზრებს მხოლოდ თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნას. კერძოდ, ამ მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის N1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის გარდამავალი დებულებების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრამდე პირველადი განწესების შემთხვევაში, უვადოდ განწესებამდე, მოსამართლე თანამდებობაზე შეიძლება განწესდეს 3 წლის ვადით. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია განწესების ტერმინის ფარგლებში მოიაზრებს არა მხოლოდ მოსამართლის უვადოდ, არამედ დროებით განწესებასაც.

12. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ნაწილში სარჩელის არსებითად განსახილველად არმიღების მოტივაცია ძირითადად ეფუძნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებას საქმეზე „საქართველოს პარლამენტისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საბჭოს (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოცემულ შემთხვევაში

მსგავსი დასკვნის გაკეთება გამოწვეულია №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის შინაარსის და მიზანმიმართულების არსებითად არასწორი აღქმით. კერძოდ, ხსენებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა შემთხვევაზე, როდესაც კოლეგიური ორგანო, გადაწყვეტილების მიღებისას, მოქმედებს კანონმდებლობის მკაცრად დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში, ფაქტობრივად ნულოვანი დისკრეციით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-111). საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება ეფუძნება ლოგიკას, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს (მის წევრებს) უწევს არჩევანის გაკეთება ორ გადაწყვეტილებას, სარჩელის დაკმაყოფილებას ან არდაკმაყოფილებას შორის. ამავე დროს, მოსამართლეები მოქმედებენ კონსტიტუციის ობიექტური განმარტების მანდატით, რომლის ფარგლებშიც, თითოეული მათგანის თვალთახედვით და ობიექტურადაც, არსებობს მხოლოდ ერთი სწორი გადაწყვეტილება. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს საკითხის პოტენციურად სწორად გადაწყვეტის რამდენიმე ალტერნატივა, სასამართლომ მიუთითა, რომ უმრავლესობის აზრის სისწორის ალბათობა უფრო მაღალია უმცირესობის აზრთან შედარებით. შესაბამისად, განსახილველ საკითხთან მიმართებით, კონსტიტუციის შესაბამისად, მიიჩნია მოწესრიგება, რომლის ფარგლებშიც უმრავლესობის აზრს ენიჭება უპირატესობა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, II-112).

13. №1693 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით შესაფასებელი მოცემულობა, არსებითად განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაში განხილულისგან, კერძოდ, მოსამართლის მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და მისი თითოეული წევრის დისკრეციის ფარგლები გაცილებით მაღალია. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეაფასოს, თუ რომელ მოსამართლეს მიავლენს, რა ვადით, რომელ სასამართლოში და სხვა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არჩევანს არ აკეთებს მხოლოდ ორ (სწორ და არასწორ) გადაწყვეტილებას შორის. მაგალითად, როდესაც საკადრო საჭიროებიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას თბილისის საქალაქო სასამართლოდან რომელიმე რაიონულ სასამართლოში მოსამართლის მივლინების შესახებ, ამ ღონისძიების გამოყენება შეიძლება კანონის მოთხოვნებთან შესაბამისი იყოს რამდენიმე მოსამართლის მიმართ, რომელთაგან საბჭომ ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. შესაბამისად, თუ კონკრეტული მოსამართლის მივლინების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით, დამსწრეთა

უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მხარდაჭერის შემთხვევაში მისი არმილება, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ კანონმდებელი არჩევანს აკეთებს არასწორი (უმცირესობის მიერ მხარდაჭერილი) გადაწყვეტილების სასარგებლოდ. ვინაიდან, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება არსებობდეს უფრო სწორი გადაწყვეტილება, მაგალითად, სხვა მოსამართლის მივლინება, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობაზე მეტი რაოდენობა უჭერს მხარს. შესაბამისად, ლოგიკა, რომელსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება, არ არის რელევანტური დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებთან, მათ შორის, მოსამართლის მივლინების საკითხთან მიმართებით.

14. აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველ ნაწილში N1693 კონსტიტუციური სარჩელი უნდა მიეღო არსებითად განსახილველად და დაედგინა კონსტიტუციური სტანდარტი დისკრეციის ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილების კვორუმთან დაკავშირებით. იმ პირობებში, როდესაც კოლეგიური ორგანო გადაწყვეტილებას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს, ბუნებრივად ჩნდება კითხვები, თუ რატომ შეაჩერა არჩევანი რამდენიმე კანონიერი გადაწყვეტილებიდან კონკრეტულ გადაწყვეტაზე. მაგალითად, ამ შემთხვევაში რატომ შეარჩია კონკრეტული მოსამართლე მივლინებისთვის და არა სხვა. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების კვორუმთან დაკავშირებით, კონსტიტუციური სტანდარტები შესაძლოა, არსებითად განსხვავდებოდეს ნულოვანი დისკრეციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისაგან. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სათანადო კვორუმებთან დაკავშირებით, მსჯელობის შესაძლებლობა არასოდეს მისცემია, რაც დამატებით მიუთითებს სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებისა და მისი შეფასების აუცილებლობაზე.

15. აღნიშნული საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებას კიდევ უფრო ამყარებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკა. კერძოდ, როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ირკვევა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თავის მხრივ, საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 15 წევრით. შესაბამისად, იმისთვის, რათა საბჭო ჩაითვალოს უფლებამართნიანად, მის სხდომას უნდა ესწრებოდეს 8 წევრი მაინც. ამდენად, როგორც ირკვევა, ცალკეულ შემთხვევაში,

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრის მხარდაჭერით შეიძლება გახდეს შესაძლებელი, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და იმავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მოსამართლის თანხმობის გარეშე იყოს მიღებული გადაწყვეტილება მისი სხვა სასამართლოში არა უმეტეს 4 წლის ვადით მივლინების თაობაზე. ზემოაღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების სადავოდ გამხდარი წესი მისი კონსტიტუციურობის არსებითად შეფასების შემდეგ, გამორიცხული არ არის, რომ ჩაითვალოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისადაც, თუმცა ამისთვის აუცილებელია, სწორედ არსებითი განხილვის ეტაპზე, საკითხის სიღრმისეული ანალიზი და, მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადოდ დასაბუთებული მოტივირებული გადაწყვეტილების მიღება, რასაც №3/14/1693 საოქმო ჩანაწერში მოცემული დასაბუთება ვერ აკმაყოფილებს.

16. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა უგულებელყო ამა თუ იმ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის დროებით დანიშვნას (მივლინებას) და კონსტიტუციის მიზნებისათვის განწესებას შორის კავშირის არსებითი განხილვის ფორმატში გამოკვლევის საჭიროება. საოქმო ჩანაწერში არ გვხვდება დასაბუთება, კონსტიტუციის მიზნებისათვის თუ რა არსებითი განსხვავებაა რომელიმე სასამართლოში მოსამართლის დროებით მივლინებასა და მის დროებით განწესებას შორის. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არარელევანტურ პრეცედენტზე მითითებით, არსებითი მსჯელობის გარეშე მიიჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრის მიერ, ფართო დისკრეციის ფარგლებში, ერთი სასამართლოდან მოსამართლის შერჩევა და სხვაგან მივლინება კონსტიტუციურობის კითხვებს არ აჩენს, იმ ხარისხითაც კი, რომ სასამართლოს მასზე არსებითი განხილვის ფორმატში ემსჯელა. ხსენებულს, ბუნებრივია, ვერ გავიზიარებ.

2. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

17. როგორც უკვე აღინიშნა, №1693 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ თვლიდა, მათ შორის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მისი საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილება. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე

განწესების შესახებ ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საპირწონე გადაწყვეტილება (მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საქმეთა განხილვისგან ჩამოცილება) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ანალოგიური კვორუმით იყოს მიღებული, არსებული მოწესრიგება კი ვერ პასუხობს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

18. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეჟიმსა და საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების გასაჩივრებულ წესზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ სადავოდ გამხდარი ნორმების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს ე.წ. შუალედურ გადაწყვეტილებას, რაც საკითხის ინიცირების ტოლფასია და, თავისთავად, არ იწვევს მოსამართლის საქმიდან ჩამოცილებას ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდგენ შედეგს. ამდენად, სადავოდ გამხდარი ნორმების რეგულირების სფეროში არ ექცევა მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების საკითხის საბოლოო, შედეგის მომტანი გადაწყვეტა. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არის დაუსაბუთებელი (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის №3/14/1693 საოქმო ჩანაწერის სამოტივაციო ნაწილის 8-13 პუნქტები).

19. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, არ ვიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმარტებას, რომლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის მიმართ სადისციპლინო პასუხისმგებლობის საკითხზე და საქმიდან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, კონსტიტუციის მიზნებისთვის, ჩაითვალოს შუალედურ გადაწყვეტილებებად და, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში იყო დაუსაბუთებელი. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არასწორად შეაფასა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება, მისი კონსტიტუციური მნიშვნელობა და, საბოლოოდ, მიიღო მცდარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით.

20. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სათანადო საფუძველების არსებობისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერის შემთხვევაში, წარდგინებით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან

ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სწორედ ზემოხსენებული გადაწყვეტილება წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საბოლოო პოზიციას მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიღმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამატებით აღარ მსჯელობს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა თუ მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების აუცილებლობაზე. ამდენად, აღნიშნულ საკითხებზე ეს არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც კონსტიტუციური ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება.

21. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით, იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საქართველოს კონსტიტუცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნის მიზანთა ჩამოთვლისას ექსპლიციტურად მიუთითებს ამ ორგანოს ერთ-ერთ ძირითად უფლებამოსილებაზე - მოსამართლეთა გათავისუფლების პროცესში მის მონაწილეობაზე. სწორედ კონსტიტუციის მიზანმიმართული გადაწყვეტაა, რომ მოსამართლის გათავისუფლების პროცესში ჩართული უნდა იყოს კონკრეტული კონსტიტუციური ორგანო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

22. საქართველოს კონსტიტუცია მოსამართლის ფუნქციური დატვირთვისა და მისი როლის გათვალისწინებით ადგენს სპეციალურ მოწესრიგებებს მის თანამდებობაზე განწესების, დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებისა და გათავისუფლების განმარტება უნდა მოხდეს არა იზოლირებულად, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციით დადგენილი შესაბამისი სტანდარტები. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელია საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების მარეგულირებელი ნორმების კონსტიტუციურობა, ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის ფარგლების განმარტება უნდა მოხდეს სისტემურად, სხვადასხვა რელევანტურ კონსტიტუციურ დებულებასთან, მათ შორის, საქართველოს

კონსტიტუციის 64-ე მუხლთან კავშირში, რათა შესაძლებელი გახდეს ძირითადი უფლებების დამდგენი და ინსტიტუციური კონსტიტუციური დებულებების საერთო სულისკვეთების აღქმა (*mutatis mutandis* იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17). ამასთანავე, „კონსტიტუციის განმარტების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის დაცვა, კონსტიტუციის დებულებების გააზრება მათი მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12).

23. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური კომპეტენციის, უფლებამოსილების განხორციელების წესისა და ფარგლების დადგენა გავლენას ახდენს, მათ შორის, მოსამართლის უფლებათა დაცვაზე. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება მოიაზრებს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12,13). საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კვალიფიკაციური ნიშნით დაკომპლექტებული კოლეგიური კონსტიტუციური ორგანოს მიერ საქმის განხილვაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება უნდა ჩაითვალოს იმ ოპტიმალურ წესად, თუმცა არსებობს საკითხები, რომელთა შესახებაც არ არის საკმარისი მხოლოდ მაღალი ალბათობით სწორი გადაწყვეტილების მიღება და შესაძლებელია, მოითხოვებოდეს უფრო მკაცრი სტანდარტი. რიგ შემთხვევებში, მისაღები გადაწყვეტილების ლეგიტიმაციისათვის აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება მიიღოს კვალიფიციურმა უმრავლესობამ. ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება მნიშვნელოვანი კონსტიტუციურსამართლებრივი ინსტიტუტების განსაზღვრას, შესაძლოა, დადგინდეს გადაწყვეტილების მიღების უფრო მაღალი უმრავლესობა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის

№3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტისა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-112-115).

24. მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების კონსტიტუციური უფლება თავის თავში მოიცავს, მათ შორის, სამსახურიდან უსაფუძვლოდ, არასათანადო პროცედურითა და წესით გათავისუფლებისგან დაცვას. აღნიშნული გულისხმობს, ერთი მხრივ, მოსამართლის გათავისუფლების საკითხზე სათანადო, კონსტიტუციით განსაზღვრული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარი გადაწყვეტილების შესაბამისობას კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებთან. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება/საქმეთა განხილვიდან ჩამოცილება მის უფლებებში ჩარევის ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ ფორმებს წარმოადგენს და განსახილველი დავის ფარგლებში უნდა შეფასებულიყო, თუ რამდენად არსებობს სადავო ნორმებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული, უფრო მაღალი კვორუმის დადგენის აუცილებლობა საკითხის განსაკუთრებული კონსტიტუციური მნიშვნელობიდან და უფლებაზე ზემოქმედების ეფექტიდან გამომდინარე.

25. ამდენად, მივიჩნევ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს უნდა შეეფასებინა, თუ რა შინაარსი გააჩნია საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველ პუნქტს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების კონტექსტში, მათ შორის, რა მოთხოვნებს უყენებს იგი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის (რაც შეიძლება ასევე გულისხმობდეს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებასაც) და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და რა კონსტიტუციურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, თუკი ჩაითვლება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონსტიტუციის მიზნებისათვის შუალედურია, შეიქმნება მოცემულობა, რომლის ფარგლებშიც, ამ ორგანოს მიერ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო კვორუმთან დაკავშირებით არსებული კონსტიტუციური სტანდარტები და აღნიშნული საკითხი არ ექვემდებარება კონსტიტუციურსამართლებრივ შეფასებას.

26. „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს ყველა რესურსი, რომელსაც ითვალისწინებს კონსტიტუცია მისი (საკონსტიტუციო სასამართლოს) დანიშნულების, ფუნქციის ეფექტურად და ადეკვატურად განსახორციელებლად“

(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). აღნიშნულის საპირისპიროდ, 2022 წლის 25 ნოემბრის №3/14/1693 საოქმო ჩანაწერში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს არ უმსჯელია კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიურ მნიშვნელობაზე, მათ შორის, არ შეუფასებია, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია კონსტიტუციით შემოთავაზებულ გადაწყვეტას და მასთან დაკავშირებულ სტანდარტებს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების კონტექსტში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა კი არ იძლევა, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლის, ფუნქციისა და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების დაცვის კონსტიტუციური გარანტიების სათანადოდ შეფასების შესაძლებლობას, რაც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების დაცული სფეროსა და უფლების შეზღუდვის სტანდარტების დადგენაზე მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების კონტექსტში.

27. შესაბამისად, ვერ გავიზიარებ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის შეფასებას, თითქოსდა, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს მხოლოდ შუალედურ გადაწყვეტილებას. სწორედ ეს გადაწყვეტილება არის/უნდა იქნეს განხილული კონსტიტუციის მიზნებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საბოლოო გადაწყვეტად და შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს. აღნიშნულის მიღმა არ გამოირიცხება კანონმდებლის უფლებამოსილება, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში შექმნას უფლების დაცვის დამატებითი მექანიზმები მოსამართლის თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლების პრევენციისათვის, თუმცა ამგვარი მოწესრიგება ვერ ჩაანაცვლებს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ წაყენებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

28. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს არსებითად განსახილველად უნდა მიეღო №1693 კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების და 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით და არსებითი განხილვის

ფორმატში შეეფასებინა, თუ რამდენად აკმაყოფილებს სადავო ნორმებით დადგენილი წესი მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი წაყენებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს, მათ შორის, ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესსა და სათანადო კვორუმს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე:

თეიმურაზ ტულუში

ასლი დედანთან სწორია

საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა

